თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის

424/03 **ბრძანება** 31.07.14

2013-2014 სასწავლო წელს „ზაფხულის სკოლაში“ აკადემიურად დავალიანებულ სტუდენტთა და სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლებიდან გადმოსული სტუდენტების მიერ განსხვავებული საგნების სწავლების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის შესაბამისად, „ზაფხულის სკოლაში“ აკადემიურად დავალიანებულ სტუდენტთა განმეორებითი სწავლებისა და სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლებიდან გადმოსული სტუდენტების მიერ განსხვავებული საგნების სწავლების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვბრძანებ:

1. „ზაფხულის სკოლაში“ სწავლების ვადა განისაზღვროს 11 აგვისტოდან 6 სექტემბრის ჩათვლით.
2. „ზაფხულის სკოლაში“ სტუდენტების მიერ შესაბამისი საგნების სწავლებისათვის შეიქმნას სასწავლო ჯგუფები. მეცადინეობა ჩატარდეს თანდართული ცხრილის მიხედვით (დანართი 1).
3. 2013-2014 სასწავლო წელს „ზაფხულის სკოლის“ ძირითადი სასესიო პერიოდი განისაზღვროს 8 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით. დამატებითი სასესიო პერიოდი განისაზღვროს 22 სექტემბრიდან 27 სექტემბრის ჩათვლით. გამოცდები ჩატარდეს თანდართული ცხრილის მიხედვით. (დანართი 2).
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს (ი.მჟავია), სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს (ს.მღებრიშვილი), საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანს (ბ.ზურაშვილი), ფარმაციის ფაკულტეტის დეკანს (დ.ბერაშივლს) ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანს (ლ.მასხულია), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს (მ.ჯღარკავა) და სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტს (მ.ფარეიშვილი).
5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე

6. ბრძანება დაეგზავნოს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტს, ყველა ფაკულტეტის დეკანატს, შესაბამის სასწავლო დეპარტამენტებს.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი